საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი

სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის ანგარიში

2018 წ.

აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სტრატეგიული გეგმის შესრულების ძირითადი ინდიკატორების ფარგლებში 2018 წლისთვის მისაღწევი სამიზნე მაჩვენებლების მონიტორინგის ანგარიშს, რომელიც მოცემულია სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული მიზნების მიხედვით.

დოკუმენტის მიზანია სამიზნე მაჩვენებლების შესრულების ხარისხიდან (მაღალი, საშუალო, დაბალი) გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციებისა და გაუმჯობესების გეგმის განსაზღვრა და მისაღწევი ინდიკატორების შესრულების ხარისხის შემდგომი გაუმჯობესება. სამიზნე მაჩვენებლების შესრულების ხარისხი აღნიშნულია ფერებით - მწვანე - მაღალი შესრულება, ყვითელი - საშუალო შესრულება და წითელი - დაბალი შესრულება. აღნიშნული ჩარჩოს მიხედვით, მაღალია თითოეული აქტივობის შესრულების შეფასების გრადაციებზე გასვლის შესაძლებლობა შემოთავაზებულ სამსკალიან სისტემაზე (შესაბამისობის დაბალი, საშუალო და მაღალი დონე), რომლის პროცენტული შესაბამისობაც, როგორც რაოდენობრივი, ასევე ხარისხობრივი ინდიკატორების შემთხვევაში გათვალისწინებულია შემდეგი სახით:

1 - დაბალი	2 - საშუალო	3 - მაღალი
0>-<40%	40>-<70%	70>-<100%

დოკუმენტის საფუძველია უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ჯგუფის მიერ შეკრებილი მონაცემების ანალიზის შედეგად მიღებული მაჩვენებლები, რომელიც მოცემულია უნივერსიტეტის თითოეული სტრუქტურული ერთეულიდან შეგროვებული ანგარიშების საფუძველზე. აქტივობების მიხედვით კონკრეტული ინდიკატორების მიღწევის მაჩვენებლები წარმოდგენილია დოკუმენტის

ცხრილში #1. დოკუმენტი ასევე ასახავს იმ დამატებით ინფორმაციას, რომელიც კონკრეტული ინდიკატორების შესახებ ინფორმაციის ნაკლულობის პირობებში მონიტორინგის ჯგუფმა მოითხოვა შესაბამისი დეპარტამენტების, ცენტრებისა და სტრუქტურული ერთეულებისგან.

გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნულ დოკუმენტში თავს იყრის საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის მიერ მუშაობის შესრულების ყველა ძირითადი ინდიკატორი, ხოლო ის ინდიკატორები, რომელიც 2018 წლის საანგარიშო პერიოდს არ ემთხვევა აღნიშნულია ლურჯი ფერით.

დოკუმენტში წარმოდგენილი ინდიკატორების შესრულების ხარისხი ნაჩვენებია შესაბამისი სტრატეგიული მიზნისა და ამ მიზნის შესრულების ხარისხზე პასუხისმგებელი შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიხედვით. საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის განვითარების სტრატეგიული გეგმა 2018-2024 გულისხმობს შემდეგი მამართულებებით სტრატეგიულ გეგმაში განსაზღვრული 18 მიზნის მიღწევას:

- ✓ **სტრატეგიული მიმართულება I:** საგანმანათლებლო საქმიანობა;
- ✓ **სტრატეგიული მიმართულება II:** ინტერნაციონალიზაცია;
- ✓ **სტრატეგიული მიმართულება III:** კვლევითი საქმიანობა;
- ✓ **სტრატეგიული მიმართულებაIV**: ინსტიტუციური განვითარება;
- ✓ **სტრატეგიული მიმართულება V:** პროფესიული განათლება.

სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის მიერ გამოყენებული შესრულების ძირითადი ინდიკატორების ფარგლებში 2018 წლისთვის მისაღწევი და სამოქმედო გეგმით განსაზღვრული სამიზნე მაჩვენებლების მიღწევის ხარისხი ნაჩვენებია ქვევით წარმოდგენილ ცხრილში.

<u>შეჯამებული შეფასება</u>

<u>საერთო შეფასებით, 2018 წლის საანგარიშო პერიოდში საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის მიერ მუშაობის პროცესში გამოყენებული შესრულების ძირითადი 57 ინდიკატორიდან, 4 არ განეკუთვნებოდა საანგარიშო პერიოდს, ხოლო დარჩენილი 53 ინდიკატორის შესრულების ხარისხი პროცენტულად შემდეგნაირად გამოიყურება - 50% სრულყოფილი, ხოლო რიგ შემთხვევაში სამიზნე მაჩვენებლების გადაჭარბებით შესრულება; 42% - ნაწილობრივი შესრულება, ხოლო 8% არშესრულება, რაც, რიგ შემთხვევაში, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის კონტროლის ფარგლებს გარეთ არსებული ობიექტური მიზეზებით (მაგ., საკანონმდებლო შეზღუდვები) აიხსნება.</u>

ცხრილი #1: სამიზნე მაჩვენებლების შესრულების ხარისხი (2018)

	პასუხიმსგებელი ერთეული	ინდიკატორები	სამიზნე მაჩვენებლების შესრულების ხარისხი	შენიშვნა
1.	სკოლები	NI.1 არჩევითი საგნების ხვედრითი წილის გაზრდა		
2.	სკოლები	NI.1.1 უნივერსიტეტის მასშტაბით საერთო არჩევითი საგნების შექმნა		
3.	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	NI.2 შრომითი ბაზრის რეგულარული ანალიზი		
4.	სკოლები	NI.3 ახალი პროგრამების დანერგვა		
5.	სკოლები	NII.1 აფილირებულ პროფესორთა რაოდენობის ზრდა		
6.	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	NIII.1 ონლაინ სწავლების საერთო სტრატეგიის შემუშავება		საკანონმდებლო რეგულაციების არარსებობა წარმოადგენს ხელისშემშლელ პირობას
7.	სკოლები	NIII.2 ონლაინ სასწავლო მოდულების შექმნა		საკანონმდებლო რეგულაციების არარსებობა წარმოადგენს ხელისშემშლელ პირობას
8.	ტრენინგებისა და კონსულტაციები ცენტრი	NIV.1 სასერთიფიკატო პროგრამების მრავალფეროვნების ზრდა		2019 წლიდან
9.	ტრენინგებისა და კონსულტაციები ცენტრი	NIV.2 მსმენელთა რაოდენობის ზრდა (ტრენინგები)		2019 წლიდან
10.	ტრენინგებისა და კონსულტაციები ცენტრი/სკოლები	NIV.3 თემატური საზაფხულო სკოლების განვითარება		2019 წლიდან
11.	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	NIV.4 ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განვითარება		
12.	სკოლები/ხარისხი	NV.1 საერთო სტრატეგიის შემუშავება (მეწარმე უნივერსიტეტი)		
13.	სკოლები/ხარისხი	NV.2 საპილოტე პროექტების შემუშავება (მეწარმე უნივერსიტეტი)		

14.	სკოლები/ხარისხი	NV.3 აღნიშნული მიდგომების გამოყენება რეგულარულ სასწავლო პროცესში (მეწარმე უნივერსიტეტი)		
15.	სკოლები/ხარისხი	NV.4 მდგრადი განვითარების გათვალისწინება შესაბამის დისციპლინებში		
16.	სკოლები/ DRDVE	NV.5 კერძო და საჯარო სექტორთან თანამშრომლობის განვითარება		
17.	სკოლები/ DRDVE	NV.6 სასწავლო პროცესში დამსაქმებლის ჩართულობის მექანიზმების ინსტიტუციონალიზაცია		
18.	საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი	NVI.1 ერაზმუსის ფარგლებში პარტნიორობის გაფართოება		
19.	საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი	NVII.1 ინგლისურენოვანი პროგრამების საერთაშორისო მარკეტინგი		
20.	სტუდენტთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების ცენტრი	NVII.2 უცხოელი სტუდენტებისთვის გზამკვლევის მომზადება		
21.	ტრენინგებისა და კონსულტაციები ცენტრი/სკოლები	NVII.3 საერთაშორისო საზაფხულო სკოლების განვითარება		
22.	სკოლები	NVII.4 არსებულ პროგრამებში ინგლისურენოვანი მოდულების დანერგვა		
23.	სკოლები	NVIII.1 უცხოელი მოწვეული ლექტორების რაოდენობის გაზრდა		2018 წელს დაწყებული მუშაობა აისახება შემდგომი წლების მონაცემებში
24.	საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი	NVIII.2 ჩვენი აკადემიური პერსონალის საზღვარგარეთ კვალიფიკაციის ამაღლების მხარდაჭერა		
25.	კვლევების დეპარტამენტი	NVIII.3 ერთობლივი საერთაშორისო კვლევების რაოდენობის გაზრდა		
26.	კვლევების დეპარტამენტი	NIX.1 კვლევების რაოდენობის გაზრდა		
27.	კვლევების დეპარტამენტი	NIX.2 საერთაშორისო რეფერირებად გამოცემებში გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობის გაზრდა		
28.	კვლევების დეპარტამენტი	NIX.3 კვლევებში ჩართული სტუდენტების რაოდენობის ზრდა		
29.	კვლევების დეპარტამენტი	NIX.4 აკადემიურ კონფერენციებში მონაწილეობის გაზრდა		

30.	კვლევების დეპარტამენტი	NIX.5 კვლევების შიდა დაფინანსების ზრდა		
31.	საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი /კვლევების დეპარტამენტი	IX.6 საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის ზრდა		
32.	კვლევების დეპარტამენტი	X.1 ჯიპა-ს პოლიტიკისა და დემოკრატიზაციის ჟურნალის (JPD) პოპულარიზაცია		
33.	კვლევების დეპარტამენტი	X.2 JPD-ის ჩართვა საერთაშორისო კატალოგებში		
34.	ადმინისტრაცია	XI.1 სამშენებლო პროექტის დამტკიცება		
35.	ადმინისტრაცია	NXI.2 მთავარი ნაგებობის აშენება		
36.	ყველა სტრუქტურული ერთეული	NXII.1 დონორების მოძიება		
37.	ადმინისტრაცია/ სტუდენტთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების ცენტრი	NXII.2 მხარდამჭერი ფონდის შექმნა		
38.	სკოლები	NXIII.1 ბიბლიოთეკის წიგნადი რესურსის ზრდა		
39.	ბიბლიოთეკა/სკოლები	NXIII.2 ელექტრონულ ბიბლიოთეკებსა და ბაზებზე წვდომის ზრდა		
40.	ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი	NXIV.1 აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიული ზრდის ხელშეწყობა		
41.	სტუდენტთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების ცენტრი	NXV.1 სტუდენტთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების ცენტრის გაძლიერება		
42.	სტუდენტთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების ცენტრი	NXV.2 კურსდამთავრებულთა ასოციაციის ჩამოყალიბების ხელშეწყობა		
43.	საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი	NXV.3 ჯიპას ელექტრო ბიულეტენის გამოცემა და გავრცელება		
44.	სტუდენტთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების ცენტრი	NXV.4 სტუდენტური ფონდების გამოყენების გაზრდა		
45.	სკოლები/საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი	NXVI.1 შრომის ბაზარსა და საერთაშორისო სტანდარტებზე მორგებული თანამედროვე მოდულური პროგრამების შექმნა, დანერგვა და პოპულარიზაცია		
46.	სკოლები/ ხარისხი	NXVI.2 სწავლების მაღალი ხარისხით უზრუნველყოფაზე ზრუნვა		
47.	საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი	NXVI.3 საერთაშორისო კავშირების დამყარება		
48.	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	NXVI.4 პროგრამების განხორციელების შეფასების მოქნილი სისტემის განვითარება		

49.	სკოლები/ ტრენინგებისა და კონსულტაციები ცენტრი	NXVI.5 მოდულებზე დაფუძნებული მოკლე და საშუალოვადიანი სერტიფიცირებული პროგრამების განხორციელება		
50.	DRDVE/ სკოლები/ტრენინგებისა და კონსულტაციები ცენტრი	NXVI.6 ახალი პროფესიული განათლების პროგრამების შექმნასა და დანერგვაში დარგის სპეციალისტებისა და დამსაქმებლების ჩართულობა		2019 წლიდან
51.	DRDVE	NXVI.7 არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და სწავლების პროცესის განახლება და სრულყოფა		
52.	DRDVE/ადმინისტრაცია	XVII.1 მატერიალურ/ტექნიკური აღჭურვილობის განახლება/სრულყოფა		
53.	ადმინისტრაცია/სკოლები	XVII.2 საგანმანათლებლო რესურსების მუდმივი განახლება		
54.	ადმინისტრაცია/სკოლები/ DRDVE	XVII.3 შშმ პირებისთვის სასწავლო გარემოს ადაპტირება/სრულყოფა		
55.	DRDVE	XVII.4 სასწავლო პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების და ინოვაციების დანერგვა		
56.	სტუდენტთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების ცენტრი	XVII.5 სტუდენტური აქტივობების ორგანიზება და წარჩინებულ სტუდენტთა წახალისება		
57.	სტუდენტთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების ცენტრი	VII.6 სტუდენტური ცხოვრების ხელშეწყობა		

რეკომენდაციები

გასათვალისწინებელია, რომ შესრულების ძირითადი ინდიკატორების მიხედვით საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის თითოეული სტრუქტურული ერთეულის მიერ 2018 წლის ანგარიშების შედეგების შეფასებამ მონიტორინგის ჯგუფი დააყენა შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინების აუცილებლობის წინაშე:

1. ანგარიშების მომზადება, ისევე როგორც საკუთარი სამუშაოს ხარისხის კონტროლი საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სტრუქტურულ ერთეულებში უნდა ხდებოდეს სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების, ასევე სამოქმედო გეგმაში ფიქსირებული შესრულების ძირითადი 57 ინდიკატორის საფუძველზე და მონაცემებიც სტრუქტურული ერთეულების მიხედვით იკრიბებოდეს აღნიშნული ინდიკატორების მიხედვით. ამ მიზნით, სასურველია მონიტორინგის ჯგუფის წევრებმა განახორციელონ შეხვედრათა სერია, რათა ინფორმაცია და ანგარიშის მომზადების ტექნიკური დეტალები გაცილებით ადეკვატურად იქნეს აღქმული. დამატებით, სასურველია ტრენინგებისა და კონსულტაციების ცენტრის ეგიდით განხორციელდეს სერტიფიცირებული ტრენინგი მონიტორინგსა და შეფასებაში.
2. მონიტორინგის ჯგუფის მიერ შემუშავდეს სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების, ასევე სამოქმედო გეგმაში ფიქსირებული შესრულების ძირითადი 57 ინდიკატორის თითოეული სტრუქტურული ერთეულისთვის შესაბამისი კითხვარი, რომელიც გაცილებით გაუადვილებს თითოეულ პასუხისმგებელ ერთეულს ინდიკატორების მიხედვით საკუთარი მუშაობის ხარისხის შესახებ ინფორმაციის მუდმივმოქმედ რეჟიმში შეგროვებასა და მომზადებას.
3. მეორე რეკომენდაციის გათვალისწინების მიზნით განისაზღვრა მონაცემების შეგროვების გაცილებთ გამარტივებული სისტემა, რაც გაადვილებს ინფორმაციის შეკრების პროცესს და გაუმარტივებს თითოეულ ერთეულს სამიზნე მაჩვენებლებთან შესრულების დონის დადგენის შესაძლებლობას სამოქმედო გეგმით შესაბამისი ერთეულის პასუხისმგებლობაში შემავალი აქტივობების დონეზე დანართში #1 და #2 მოცემული ნიმუშების შესაბამისად.
4. საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის თითოეული სტრუქტურული ერთეული არაა შეზღუდული საკუთარი საქმიანობის შესრულების ხარისხის სტრატეგიული გეგმითა და სამოქმედო გეგმით განსაზღვრული შესრულების ინდიკატორებით და შესაძლებელია იხელმძღვანელოს საკუთარი ერთეულის სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული დამატებითი ინდიკატორებით. ასეთ საუკეთესო პრაქტიკად განსახილველია საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სოფლის მეურნეობის განვითარებისა და პროფესიული სწავლების დეპარტამენტის სამოქმედო გეგმა 2018-2020-ის ფარგლებში წარმოდგენილი დამატებითი ინდიკატორების მიხედვით მომზადებული 2018 წლის აქტივობების შესრულების ანგარიში.
5. მონიტორინგის ჯგუფის მიერ სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების, ასევე სამოქმედო გეგმაში ფიქსირებული შესრულების ძირითადი 57 ინდიკატორის შესახებ მოპოვებული დამატებითი ინფორმაცია სასურველია აისახოს საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის 2018 წლის გაერთიანებულ ანგარიშში.

დანართი #1: ნიმუში

2018-2010 წლისთვის სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული სამოქმედო გეგმის შესრულების მაჩვენებლები / დამტკიცებულია საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის 2018 წლის 26 აპრილის ბრძანებით #01-18/072

გთხოვთ, რომ შეაფასოთ დღევანდელი მდგომარეობით სამიზნე ნიშნულებამდე მიღწევის მასშტაბი (გამოსახოთ შესაბამისი ინდიკატორების რაოდენობა/ხარისხი და სამიზნე ნიშნულთან მიახლოების პროცენტი, სადაც ეს შესაძლებელია)

GIPA სამოქმედო გეგმა 2018-2020																
აქტივობა	2019				2020				პასუხისმგებელი ერთეული	ინდიკატორები	2018 წლის მონიტორინგი	რეკომენდაცია 2018 წლის მონაცემებზე	საბაზისო მონაცემი 2018	სამიზნე ნიშნული 2020	დღევანდელი მდგომარეობა	შეფასება (2019)
	1	2	3	4	1	2	3	4								

განმარტება სკოლების სამიზნე მაჩვენებლების

საბაზისო მონაცემი - SG	სამიზნე ნიშნული - SG	საბაზისო მონაცემი - SSS	სამიზნე ნიშნული - SSS	საბაზისო მონაცემი - CSJMM	სამიზნე ნიშნული - CSJMM	საბაზისო მონაცემი - SLP	სამიზნე ნიშნული - SLP

შენიშვნა: თუკი საჭიროდ თვლით, დამატებით მიუთითეთ ის მიღწევები, რომელიც არაა ასახული სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ინდიკატორებში და განმარტეთ კონკრეტულ მონაცემებზე დაყრდნობით დღემდე მიღწეული პროგრესი

1. _____

დანართი #2: ნიმუში

2018-2020 წლისთვის სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული სამოქმედო გეგმის შესრულების მაჩვენებლები / დამტკიცებულია საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის 2018 წლის 26 აპრილის ბრძანებით #01-18/072

გთხოვთ, რომ შეაფასოთ დღევანდელი მდგომარეობით სამიზნე ნიშნულებამდე მიღწევის მასშტაბი (გამოსახოთ შესაბამისი ინდიკატორების რაოდენობა/ხარისხი და სამიზნე ნიშნულთან მიახლოების პროცენტი, სადაც ეს შესაძლებელია). გთხოვთ მიუთითოთ შესაბამისი მონაცემები 2019 წლის მდგომარეობით.

GIPA სამოქმედო გეგმა 2018-2020

აქტივობა	2019				2020				პასუხისმგებელი ერთეული	ინდიკატორები	2018 წლის მონიტორინგი	რეკომენდაცია 2018 წლის მონაცემებზე	საბაზისო მონაცემი 2018	სამიზნე ნიშნული 2020	შეფასება
	1	2	3	4	1	2	3	4							
NII.1 აფილირებულ პროფესორთა რაოდენობის ზრდა									პროგრამის ხელმძღვანელი, დეკანი, HR, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი	საშტატო განრიგი	საბაზისო - SLP: 8/3; SSS - დასაზუსტებელია აფილაციები; SG - არ არის მონაცემი; CSJMM - არ არის მონაცემი	შესამუშავებელია ანგარიშგების ფორმა	80	104	2019

განმარტება სკოლების სამიზნე მაჩვენებლების: NII.1 აფილირებულ პროფესორთა რაოდენობის ზრდა

საბაზისო მონაცემი - SG	სამიზნე ნიშნული - SG	საბაზისო მონაცემი - SSS	სამიზნე ნიშნული - SSS	საბაზისო მონაცემი - CSJMM	სამიზნე ნიშნული - CSJMM	საბაზისო მონაცემი - SLP	სამიზნე ნიშნული - SLP	შეფასება
31	39	25	32	16	18	9	15	
								2019
								კომენტარი

შენიშვნა: თუკი საჭიროდ თვლით, დამატებით მიუთითეთ ის მიღწევები, რომელიც არაა ასახული სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ინდიკატორებში და განმარტეთ კონკრეტულ მონაცემებზე დაყრდნობით დღემდე მიღწეული პროგრესი

1. _____